№ 55 მარტი 13, ოთხშაბათი 1891 მარტი 13, ოთხშაბათი № 55

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877--1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

დასაფლავება გარდაცვალებულის ნატალია გიორგის ასულის **მრევლიშვილისა**, მცხეთის ტაძრის დეკანოზ რომანოზის ქვრივისა, დანიშნულია ხუთშაბათს, 14 მარტს, სოფ. მცხეთაში, ტაძრის გალავანში. შვილები და და-ძმა მისი გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა, სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის გასვენებაზედ საკუთარის სახლიდგან. (1—1)

ნატალია ვახტანგის ასული, ნიკოლოზ იაკინთეს ძე ალექსი-მესხიშვილი, კნ. ეკატერინე იაკინთეს ასული ბაგრატიონ-მუხრანსკისა და ნინო იაკინთეს ასული სიმონოვიჩისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას, პირველი ასულისას, ხოლო უკანასკნელნი—დისა თვისისა ბარბარე იაკინთეს ასულის ალექსი-მესხიშვილისას და სთხოვენ მობრძანდნენ ოთხშაბათს, 13 მარტს 10½ საათზე ნავთლუღს, ნავთლუღის სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც გარდახდილ იქმნება პანაშვიდი, ხოლო 15 მარტს—მცხეთას, დედათა სამთავროს მონასტერში, სადაც დანიშნულია დასაფლავება მიცვალებულისა. (1—1)

ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთაშორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის მესასყიდლოს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში
ოთხშაბათს, 13 მარტს,
ანნა ჟუდიკის მესამე დებიუტისათვის
წარმოდგენილი იქნება

უნდა გავიყარნეთ

კომედ. 3 მოქმედ., თხზ. სარდუსი
ციპრიენის როლს შეასრულებს ქ-ნი
ჟუდიკი
დასაწყისი 8 საათზედ

ახალი ამბავი

⁂ მეტის-მეტ უსუფთაობას შემოგვჩივიან „მოსკოვის ბალკის“ მცხოვრებლები. მთელი ეს ქუჩა გავსებულა ნაგვითა და სიბინძურითა. დღემუდამ ნაშუალამევიდამ დაწყებული აქ მცხოვრებთ გარედ, ქუჩაში, გამოაქვთ, რაც-კი რამ სიბინძურეა სახლში და აზოებში. იშვიათი დღე შეხვდება თურმე, რომ ამ ქუჩაზე გამვლელმა არ დაინახოს, როგორ ჰღვრიან ხოლმე სახლებიდან ყოველგვარ სიბინძურეს.

ამ დღეებში ერთ ცილინდრიან მიმავალსაც გადმოასხეს თავზედ ლაფი და სირცხვილით ვერც-კი შეიჩივლა ვერავის.

ყველაზედ უფრო უჩივიან №№ 21, 24, 36 და 40 სახლებს, და ურიგო არ იქნებოდა, ვისიც ჯერ არს, ყურადღება მიაქციოს ამ საჩივარს.

⁂ ქალაქის აუქციონისტებს ამ წლის იანვრიდამ დაწყებული 1-ლ მარტამდე გაუყიდნიათ აუქციონზედ სხვა-და-სხვა ავეჯეულობა და ნივეულობა სულ 6770 მან. და 33 კაპ., აქედგან ქალაქს ერგო 270 მან. 81 კაპ., რომლის ნახევარი თვით აუქციონისტებისაა.

⁂ 28 იანვარს ქალაქის საბჭოს, მოხსენდა რა ხმოსანის ყაითმაზოვის გარდაცვალების ამბავი, ერთ-ხმად გადასწყვიტა გამოუცხადოს სამძიმარი და მწუხარება ბ-ნ ყაითმაზოვის ოჯახს.

ქალაქის თავის მოადგილემ ბ-ნმა იზმაილოვმა ამ დღეებში წერილით აცნობა ქვრივს ე. ნ.-ასულს ყაითმაზოვისას ეს გადაწყვეტილება ქალაქის საბჭოსი.

⁂ ამ თხუთმეტის წლის წინად დაიბეჭდა ბ-ნ ზ. ჭიჭინაძის მიერ სიტყვა, თქმული მსაჯულის სოლომონ ლეონიძისა მცხეთის ტაძარში ერეკლე მეფის დასაფლავების დღეს. ეს სიტყვა დღეს გასასყიდად თითქმის აღარსად აღარ მოიპოვება. ბ-ნ ზ. ჭიჭინაძეს უნდა ეს სიტყვა ხელ-მეორედ დაჰბეჭდოს და წინ წაუმძღვაროს ზოგიერთი ცნობანი ამ მე-18 საუკუნის შესანიშნავის კაცის ცხოვრებისა და მოღვაწეობისა.

⁂ მკითხველს ეხსომება, რომ შარშან ტფილისის გუბერნატორმა დანიშნა კომისია, რომელსაც დაავალა, გამოსძებნეთ იმისთანა საშუალება, რომლის შემწეობით სოფლის საზოგადოებას შეეძლოს შეადგინოს თავისთვის საკუთარი თანხა ფულისა. ასეთის თანხით სოფლელებს ადვილად შეუძლიანთ დააკმაყოფილონ ყველა თავიანთი საზოგადო საჭიროებანი. კომისიამ მთელი წელიწადი მოანდომა ამ შრომას, შეადგინა წესდება, შემდეგ გაუგზავნა მაზრის უფროსებს და მომრიგებელ შუა კაცებს თავიანთის აზრის წარმოსათქმელად. როდესაც კომისიამ განიხილა მათი აზრი, ხელმეორედ შეუდგა წესდების განხილვას და თანახმად თითო-ოროლა აზრისა, მოახდინა ჯეროვანი ცვლილება. ამ დღეებში უკანასკნელი შრომაც გაათავა და ბ-ნ გუბერნატორს წარუდგინა დამთავრებული წესდება. ეხლა საჭიროა წესდების დამტკიცება, რომ მოქმედებაში მოიყვანონ.

⁂ გორის მაზრის თვრამეტ სამამასახლისოს დაუდგენია განაჩენი და უთხოვნიათ ტფილისის გუბერნატორისთვის, ნება მოგვეცით ჩვენის ხარჯით და შრომით გავიყვანოთ არხი მდინარე ლიახვიდგან, ცხინვალის ახლო, ტირიფონის მინდვრის მოსარწყავადაო. არხს თითქმის სამოცი ვერსის სიგძე ექნება. მთხოვნელებს ჰსურთ დიდი ლიახვიდან წამოსული წყალი ჩაუშვან პატარა ლიახვში, იქ წყალი შეამაგრონ ხელოვნურად და შემდეგ პატარა ლიახვიდან გასჭრან რუ. რასაკვირველია ამისთანა რუს გაყვანას ბევრი შრომისა და ხარჯის გარდა, მცოდნე კაცნიც დასჭირდებათ გლეხებს და ვინ ჰკისრულობს ამ საქმის მეთაურობას, ჯერ არ ვიცით. არ ვიცით აგრეთვე, თუ როგორ შეჰხედავს გლეხების განზრახვას საგუბერნიო ადმინისტრაცია. სასურველი-კია რომ ამ სასარგებლო საქმეს ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ და მით დიდი სამსახური გაუწიონ გორის მაზრას.

⁂ ოსეთი: ბარის-ოსეთში საქონლის საკვები და ქირნახული საკმაოდ ძვირია ამ ჟამად. ჯერ მარტი კიდევ

ფელეტონი

მეფე ერეკლე

სიკვდილი ალა მაჰმად-ხანისა

III

(შემდეგი. იხ. „ივერია“ № 54)

იხილა-რა იბრეიმ-ხანმან ყარაბაღისამან უკუნ-ქცევაჲ რუსთა და მოსვლა კვალად ალა-მაჰმად-ხანისა, ვერღარა ძალ-იდვა მან განმაგრება შუშის ციხისა, ვინაჲდგან მცირედნიღა დაშთომოდეს მას მცხოვრებთაგანნი ყარაბაღისა, ვინაიდგან მიზეზითა ალა-მაჰმად-ხანის მიერ წარტყვენვისათა, ყოველნი მცხოვრებნი, რომელნიც განერნეს ანუ დაშთეს მათ შემდგომთაცა წელთა არა აქვნდათ ხვნაჲ და თესვაჲ, ვინაჲდგან არღარა ჰყვათ მათ პირუტყვნი და დაიმშნეს. ამისთვის აიყარნეს და შევიდეს უმრავლესნი მათგანნი საქართველოსა შინა: ქართლსა, კახეთსა და სხვათა ადგილთა შინა და მუნ გამოიზარდნეს და მრავალნი მათ მცხოვრებთაგანნი დაშთეს საქართველოსა შინა და არღარა უკუნიქცეს ყარაბაღად, არამედ დაეშენნეს საქართველოსა შინა. ხოლო თვით იბრეიმ ხანს, რაჲცა საკუთარი მისი ჰყვეს რემანი ცხენთანი, მროწლენი ძროხათანი, ყოველნივე წარტყვენეს სპარსთა: ჰყვა მას, გარეშე სხვათა პირუტყვთა, ათი-ათასი კრძალი ცხენი, რომელნიცა წლითი-წლად მოიგებდეს. არღარა აქვნდა მას პური, არცა საზრდო რაჲმე, არცა წამალი თოფისა, არცა ტყვია, და ამისთვის დააგდო ციხე მისი და მცხოვრებნი მას შინა და წარვიდა დედა-წული თვისითურთ და ყოვლითა სახლეულებითა და რომელნიმე მცხოვრებნიცა ყარაბაღისანი ციხით წარჰყვეს მას და რომელნიმე დაშთეს მუნ და სხვანი განიბნივნეს სხვათა და სხვათა ადგილთა.

მაშინ წარვიდა იბრეიმ-ხან ლტოლვილი ყარაბაღით ყოვლითა თვისთა მყოფითა, განვლო მდინარე მტკვრისა და ალაზნისა, მივიდა და შეეხიზნა ლეკთა ჭარისა მოსახლეთა და დასდგა იგი დიდსა მას სოფელსა შინა, რომელსაცა ბელაქნად სახელს-სდებენ.

მოსრულმან ალა-მაჰმად-ხან იხილა-რა ხიდი არეზისა მდინარისა შთაქცეული და ვერღარა გამოვიდა მას ზედა და უმეტეს იწყო მრისხანება იბრეიმ-ხანსა ზედა, ვინაიდგან სცნა, რომელ შთააქცივნა იგი იბრეიმხანმან დაბრკოლებელად ალა-მაჰმად-ხანისა. მაშინ თუმცა-და ესეოდენ განდიდებულ იყო მდინარეჲ, რომელ კიდედაცა მდინარისათა გარდასრულ იყვნეს წყალნი და დაეპყრათ გარეშე კიდისა წყალთა ვრცელნი ადგილნი. ნავნი მდინარესა მას შინა მას ადგილსა, სისწრაფისა გამო მდინარისა, და მიზეზითა კლდოვანთა ადგილთათა, შეუძლებელ არიან ყვანებად. მაგრამ არა მიხედა საშინელებასა ამას მდინარისასა ალა-მაჰმად-ხანმან, არამედ მიუწოდა კიდედ მხედრობასა თვისსა და განამხნო იგინი და უწინარეს ყოველისა შევიდა თვით ცხენსა მჯდომარე და წინამძღვარ ექმნა მათ და შეჰყვნეს უკანით წარჩინებულნი მისნი და ყოველნი მხედარნი ცხენოსანნი და ეგრეთ განვიდა მშვიდობით მხედრობითა თვისითა. თუმცა მოეშთვნეს მას კაცნი არა მცირედნი. განაჩინნა კაცნი სამძიმოთა ნივთთა მხედრობისათა და ქვევითთა გამოსხმად და თვით ყოვლითა სიმსწრაფლითა დევნა უწყო იბრეიმ-ხანს, გარნა ვერღარა ეწია მას და დასდგა ქვემორე შუშის ძირისა და ილოდა, სადაცა მოვიდეს უკანით დაშთომილნი მისნი მხედრობანი.

მაშინ აღვიდა ალა-მაჰმად ხან და შევიდა ციხესა შუშისასა ყოვლითა მხედრობითა სპარსთათა და დასდგა მუნ. და ფრიად მრისხანებდა იბრეიმ-ხანსა ზედა. რადგან ვერ იგდო იგი კელად. წარავლინნა მხედარნი თვისნი გაღმართ მდინარისა მტკვრისა შირვანსა და შაქსა ზედა და მოუწოდა თვის თანა ხანსა შამახიისასა და მოიყვანა თვის თანა. და ვითარცა მივიდა იგი, შეიპყრა, ამისთვის ვინაიდგან მოსვლასა ზედა რუსთა მხედრობისასა, მიეგება წინა ზუბოვსა მუსტაფა-ხან. და ზუბოვმა მიაპყრა მას დიდი პატივი. ეგრეთვე ჯავად-ხანცა მოიხმო თვისთანა და შეიპყრა იგი და ენება ალა-მაჰმად-ხანს ორთავე მათ—მუსტაფა ხანისაცა და ჯავად-ხანისაცა დასჯაჲ სიკვდილითა. მაშინ დიდისა განმზადულებითა ჰყოფდა მისწრაფებასა წამოსვლად საქართველოსა ზედა, მაგრამ ესმოდა ამბავნი, რომელ ჯარით არიან მუნვე სიმრავლე რუსთა მხედრობისა.

ხოლო მეფე ირაკლი, თუმცა იყვნეს მუნ ჯერეთ მხედრობანი რუსთანი, მაგრამ არა სასოებდა მათ ზედა, ვინაიდგან განმზადებულ იყვნეს იგინი მიქცევად როსიად. არამედ მეფე და ძეჲ მისი მემკვიდრე გიორგი განმზადებდეს ყოვლისა გულს მოდგინებითა თვისითა მხედრობათა სრულიად საქართველოჲსასა და ენებათ ბრძოლისა ყოფა ალა-მაჰმად-ხანისა მიმართ. და იყოფოდეს იგინი მას ჟამსა ტფილისს: მეფე სადგურობდა სასახლესა შინა დედოფლისასა დარიად სახელდებულსა და მეფის ძე მემკვიდრე მუნვე, მახლობელ მეფისა. ხოლო სახლეულობანი მეფისანი ყოველნივე იყვნეს თელავს და სახლეულობანი მემკვიდრისანი მარტყოფს, დიდსა შინა დაბასა ნორიოსსა, რომელიცა არა შორს არს ტფილისით.

მას ჟამსა, ოდეს იგი იყო ალა-მაჰმად-ხან ციხესა შინა შუშისასა და ენება დღეთა მათ წარმოსვლა ყოვლითა ძალითა თვისითა, მაშინ შეითქვნეს მსახურნი მისნი შინაგანნი, რომელნი მარადის მახლობელ მისსა მსახურობდეს: ხუდადად ვინმე ისპანელი და ორნი სხვანი მოყვასნი მისნი და თანა მოსამსახურენი მისნი და თანა მოსამსახურენი ალა მაჰმად ხანისანი. დღესა ერთსა, თთვესა თიბათვისასა, წელსა ქრისტესით 1797, ქორონიკონსა ული, მეათოთხმეტისა მოქცევისასა, ოდეს იგი განთიადსა ილოცა ალა მაჰმად-ხანმან, წესითა თვისითა, და მერმე დაეძინა, მაშინ შეთქმულნი იგი მსახურნი მისნი დაესხნეს მას ზედა, კარავსა შინა მისსა, სადა იგი ეძინა მას, და აღაღეს დანაჲ მისი დიდი, რომელი ერტყა მარადის წელსა მისსა, ჩვეულებისამებრ სპარსთასა, დააწვნენ მძინარესა მას თავსა და რა ჟამ მ [illegible]

წინ გვიძევს და უთუოდ იმის შიშით არ იაფდება. ქალის მოტაცება ბარის-ოსებში ჯერ კიდევ ხშირი ამბავია. უფრო საქებურ საქმედ მიაჩნიათ აქეთ ქალის მოტაცება და მოტაცებულს ტოლ-ამხანაგნი ქება დიდებას უძღვნიან. აქებენ აგრეთვე მოტაცებულ ქალსაც: „თუ კარგი არ ყოფილიყო, ხომ არც მოიტაცებდნენო“. ხშირად-კი დიდი უბედურებაც მოსდევს ქალის მოტაცებას. აი, მაგალითად, თებერვლის ოცდა-სამს მოჰხდა ერთი საცოდავობა ქალის მოტაცების თაობაზედ სოფ. ბათაყოში: ამ სოფელში მცხოვრებს ერთს ოსს, თავისივე სოფლელი ოსი მიუხტა რამდენისამე ამხანაგით და ძალადობით უნდოდა მოეტაცნათ ქალი, რომელიც სხვას ჰყვანდა დანიშნული. ქალის ძმამ გაიგო თუ არა, მარტო ერთის ხანჯლით გამოუვარდა მიმხდურთ და თან გამოჰყვა მამა და შეუტიეს დაუპატიჟებელ სტუმრებს. მიმხდურთ შორის ერთმა თოფი დაუმიზნა ქალის ძმას, მაგრამ გულადმა და გამბედავმა ქალის ძმამ წაჰგლიჯა თოფი ხელიდამ, მოუბრუნა და სთხლიშა კონდახი თავში, ზედ გადაამტვრია თოფი და კაციც იქვე გააგორა. ახლა მეორე ამხანაგმა მოაშურა ქალის ძმას ხანჯლით და დასთხლიშა მხარში ხანჯალი. ქალის ძმა თუმცა დაიჭრა, მაგრამ იმასაც ხანჯალი წაჰგლიჯა ხელიდამ, და თავის მამას გადუგდო, თავის ხანჯალი-კი დასცა მოპირდაპირეს თავში და შუაზედ გადაუჩეხა. ამ ნაირად ქალის ძმამ, ორი კაცი მძიმეთ დასჭრა და თავადაც მძიმედ დაშავდა. ამ საქმეზედ ოქმი იქმნა შედგენილი.

*** იქიდამვე: 2 მარტს, ღამე, სოფ. ხუმელაგაში, სამი ცხენოსანი მიუხტნენ ღამის ყარაულებს, ზედი-ზედ დაახალეს თოფები და გაჰკურცხლეს უკან. საბრალო ყარაულებს, ერთს ტყვია ბარძაყში მოჰხვდა, მსხვილი საფანტიც ფერდზედ მოესხა; მეორეს ტყვია მხარში მოხვდა და მხარი სულ გადააგლიჯა. ქურდების გზაკვალი მდევარმა ველარ იპოვნა. ყარაულები გვარად ბედოშვილები არიან; მათი მორჩენა საეჭვოა.

*** სოფ. ხუმელაგა (კავკავის მაზრა): ექვსს ამ მარტს სოფელ ხუმელაგაში მღვდლის ნესტორ ბაკურაძისაგან გადახდილ იქმნა პანაშვიდი ჩვენის ძვირფასის მამულიშვილის, განსვენებულის მიხეილ ზაალის ძის ყიფიანის მოსახსენებლად.

*** ქნ. ნინო ორბელიანისამ შემოსწირა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“, წიგნთ-საცავს შემდეგი წიგნები:

1) ლუკმა-პურის ამბავი, აღწერა კაცისა და ცხოველების სიცოცხლისა, თხზულება მასესი. 2) ჟურნალი „ივერია“ ექვსი წიგნი უყდო, ხუთი 1881 წ. და ერთიც 1882 წ 3) Войнскій уставъ о службѣ въ гарнизонѣ. 4) Наставленіе для обученія войскъ цѣльной стрѣльбѣ. 5) Военно-статистическій сборникъ на 1868 годъ, выпускъ I. 6) Всемірный трудъ 1867 წ. სამი წიგნი. 7) Русская Старина, ხუთი ცალი. 8) Военный Сборникъ, годъ десятый 1867 წლისა—ათი წიგნი. 9) Русскій Вѣстникъ, журналъ литературный и политическій 15 ცალი 1861, 1862 და 1863 წ. 9) Кавказскій календарь на 1863 годъ. 10) Исторія 13-го Лейб гренадерскаго Эриванскаго Его Величества полка.

გამგეობა საზოგადოებისა გულითადს მადლობას უძღვნის შემომწირველს.

*** 11 მარტს გარდაიცვალა ტფილისის მცხოვრებელი ივან ფეიქაროვი. ფეიქაროვი სამს მარტს სცემეს ვიღაც ნიკოლოოზმა, არშაკამ და ერთმაც მეჭურჭლემ. დამნაშავენი პასუხის გებაში არიან მიცემულნი.

◆◆

ნამცეც-ქრონიკა

ჩვენს ტფილისს ამ დიდ-მარხვაში სწორედ არა დიდი-მარხულად უცემს მაჯა: ერთმანეთში დომხალივით აირდაირია ისპანახი, რეიზენაური, ჯონჯოლი, ნიკიტა, გურულად მოხარშული ბროწეულ-მოყრილი ლობიო სათავად-აზნაურო ბანკის თეატრის იჯარით გაცემა და ანნა ჟუდიკი,—ეს ორმოც-და-ორის წლის ყმაწვილი ქალი, ეს თვალთ-წარმტაცი, კაკლის ოდენა თვალებიანი და ტიკტიკა ენად და სახის მოძრაობად გადაქცეული მუქთურ-ვარსკვლავი საოპერეტო და საშანსონეტკო ცისა. ეს უცხო ქვეყნის ნუგბარი თვალების ციცასავით მინაბვითა, ხმის კილოს თვალთ-მაქცად აწევ-დაწევით და სახის საოცარის მოძრაობით იმდენს რასმე აგებინებს და ეუბნება თვით ფრანგულის ენის არ-მცოდნე კაცის გულსა და გონებასაც-კი, რის თქმას მთელი ჯარი ისეთის არტისტებისაც-კი ვერ შეიძლებდა, რომლებზედაც მოურიდებლად ითქმის, არც ჭოა, არც არა, არც შვავი და არც ხვავიო, თუნდა ამ ჯარს ფეხებიც აეთამაშებინათ, ხელებიც და სულ ერთიან მთელის სხეულითაც დაეწყოთ მაღაყების გადასვლა და პროწიალ-კოტრიალი.

ჟუდიკი, თქმა არ უნდა, ნაღებია, მარილი, თავი, ამ სულის მონანიების ჟამს ჩვენთან წვეულ ფრანგულ საოპერეტო დასისა, და კარგი თავიც. ვინ იცის, იქნება ნავსი გატყდეს და ამ უთაურობის დროს ერთის მეთაურის გამოჩენით ქალაქის თავობის ამორჩევის საქმესაც ეშველოს რამე. აგერ გუშინაც ხელ მეორედ შეიყარნენ და ოც-და-ხუთ მარტისათვის გადასდეს ქალაქის თავის არჩევანი.

ეს ერთი არჩევანი გადაიდო, მაგრამ მეორე არჩევანს რა მოელის ორშაბათს, ამისი-კი რა მოგახსენოთ. სათავად-აზნაურო ბანკის თეატრის მეიჯარადრეს ფორკატის, რომელიც წელიწადში 7,200 მან. იხდიდა, ვადა გაუვიდა და ახლა სხვები შეეცილნენ. ეს სხვები არიან რუსულის სცენის არტისტი კრემლევი, ბ-ნი ვ. აბაშიძე და ქ-ნი საფაროვისა. ბ-ნ ვ. აბაშიძე ჰპირდება ბანკის გამგეობას, რომ თუ მე დამითმობთ თეატრს ამავე ფასად, რა ფასადაც ბ-ნ ფორკატისა ჰქონდა, ქართულ დრამატიულს დასს, ათს კი არა, ყოველ წარმოდგენისათვის ხუთს თუმანს გადაახდევინებო. ვინ იცის, იქნება ძალიან მოხერხებული ხერხია, ბასრი ნემსკავი, განგებ ამღვრეულს წყალში გადაგდებული, მაგრამ ძნელად თუ ეს ნემსკავი სწორედ იმ ლოქოს მოჰხვდეს ღაყუჩში, რომელსაც ელამუნება. საქმე ის არის, რომ მომავალს სეზონში დრამატიული კომიტეტი ჰკისრულობს ქართულის თეატრის მართვა-გამგეობას და ამ მხრივ წინანდელს ნაანტრეპრენერალს პირიდგან ლუკმა ეცლება. ეხლა თუ ამ ხერხით მოახერხა და თეატრი აიღო იჯარით, ისე, რომ პირობა არ დაუდო ქართულ დრამატიულს კომიტეტს დავუთმობ ხუთს დღესაო, რადა თქმა უნდა, ქართულის წარმოდგენების გამართვას ამ კომიტეტს აღარ დაანებებს და ამ გვარად გამოდის, რომ თუ ბ-ნი აბაშიძე სიტყვით ქართულს დასსა სწყალობს, მფარველობს! და ქარის ნახევრად დათმობას ჰპირდება, საქმით ამ ხუთს თუმანს თავის ჯიბეს უთმობს, რადგან თეატრის მოიჯარადრეც ის იქნება და ქართულ დასის მმართველ-გამგებელიც.

მაინც ამ დიდის ხერხით გალესილ და გამწვეტებულ ნემსკავმა, ის თუ არა, სხვა კარგი ლოქო მოითრიოს. ამბობენ, რომ ფორკატი, მოცილეთა თავიდგან ასაცილებლად, სულ მუქთად უთმობს ქართულს თეატრს ორს კვირა დღესა და სამს სადაგს დღეს თთვეშიო. იმის პირს შაქარი! აი ამაზეა ნათქვამი: „მამლები წაიკიდნენ, დედლებმა კუჭი ამოივსოო“. თუ მართალია ეს ხმა, სწორე მოგახსენოთ, დიდი ნუგეშია ქართულის თეატრისათვის. ეს თეატრი აქამდე წელიწადში 3,500 მან. უხდიდა ფორკატის და ეს ფული რომ ეხლა სუბსიდიასავით ჯიბეში შერჩეს, ზოგს კარგა ხნობით მოიმაგრებს და ისე ადვილად ვეღარ დასძრავს ვერც უფულობის ნიავი და ვერც სხვა ნაკლებულობის ქარიშხალი. საქმეს ხელი-კი უეჭველად ისევ იმ დრამატიულმა კომიტეტმა უნდა მოჰკიდოს, თუ არ უნდა, რომ ეს 3,500 მან. პეტრეს სახელით პავლეს კუჭს მოხმარდეს და სანთელ-საკმელმა გზა და კვალი სულ ერთიანად დაჰკარგოს.

ამ საქმის ჯერ-ჯერობით-კი გადაწყვეტილი არც ჰო ითქმის და არც არა, რადგან დამი არა აქვს მოხდილი. როგორც ჩვენის გაზეთის გუშინდელს ნომერშიაც იყო მოხსენებული, ბანკის გამგეობას გამოუცხადებია მის წინაშე წამდგარ თეატრის იჯარით აღების მსურველთათვის, რომ, ჯერ ერთი, ზოგი ჩვენი პირობა უეჭველად უნდა შეასრულოს იჯარადარმა, მეორე, ვისაც თეატრის იჯარით აღება სურს, მომავალ ორშაბათამდის 2,133 მან. უნდა წარმოადგინოს გირაოდ და იმ ორშაბათს მოვილაპარაკებთ, აწონ-დაწონავთ და ვისი პირობაც მოგვეწონება, იმას დავუთმობთ თეატრს იჯარითაო.

ვნახოთ, ბურთს ვინ გაიტანს და ვის დარჩება მოედანი ხელოვნების ტაძრისა!..

დუმიკ

◆◆

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

რაკი თავად-აზნაურობა, როგორც წინა ნარკვევშიაც მოვიხსენიეთ, ცოტად თუ ბევრად, ზოგმა თუ ნებსით, ზოგმა თავისდა უნებურადაც, ხელმწიფის სურვილს მხარი დაუჭირა და გლეხთა განთავისუფლების საქმის შესახებ ხმამაღლა, საჯაროდ დაიწყეს ლაპარაკი, საიდუმლო კომიტეტი საჭირო აღარ იყო, ამიტომ უმაღლესის რესკრიპტით 8 იანვარს 1858 წლისას დანიშნულ იქმნა უმაღლესი კომიტეტი ბატონ-ყმობის გაუქმებისა და მიენდო გუბერნიის კომიტეტებში შედგენილ დებულებათა პროექტების განხილვა. 1858 წ. განმავლობაში თითქმის ყოველ გუბერნიაში არსებობდა ასეთი კომიტეტი. ამ წლის ზაფხულს ალექსანდრე მე-II დაიწყო მოგზაურობა რუსეთში. ამ მოგზაურობას ფრიად შესანიშნავი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ხელმწიფე შემთხვევით სარგებლობდა და თავად-აზნაურობას ელაპარაკებოდა გლეხთა განთავისუფლების საქმის შე-

---

ევედრა მრავალსა, გარნა არა შეიწყალეს იგი. არამედ განგმირეს მახეილითა მით, ღლიასა ქვეშ და მოკლეს. და დაბურეს მას საბურველი საბანნი და აღიღეს სამკლავენი მისნი, რომელსა სპარსნი უწოდებენ ბაზმანდსა, რომელსა შინა სხდეს უძვირფასესნი თვალნი სპეკალნი, წარმოიღო ესენი ხუდადადმან და მოვიდა წინაშე მას ქასსა პირველისა მხედართ-მძლევანისა ალა-მაჰმად-ხანისა—ალურ-ხანისა შაღალელისა მიმართ. და გამოუცხადა შემთხვეულებაჲ ესე საიდუმლოდ ყოველივე. ხოლო იგი არა ირწმუნებდა სიტყვასა მისსა და შემდგომად მრავლისა დარწმუნებისა აღმოიღო უბით და უჩვენნა მას სამკლავენი იგი, რომელსა არა განიშორებდა არაოდეს თვისგან ალა-მაჰმად-ხან და მიხვდა იგინი მას. მაშინ შეშფოთებულ და შეძრწუნებულ იქმნა სადუხან და არა იცოდა ჯერეთ თუ რაჲ ქმნას. და ჰკითხა მკვლელსა მის ალა-მაჰმად-ხანისასა თუ რაჲსა მიზეზისათვის მოაკვდინეს იგი. და მიუგო მან: გვექადოდა ჩვენ სიკვდილსა და შიშითა თავისა ჩვენისათა მოვაკვდინეთო იგი. ხოლო სადუხ ხან, მოეგო რა თავსა თვისსა, უთხრა მკვლელსა მას, რათა არავის უთხრან საქმეჲ ესე და სდუმნენ იგინი, ვიდრემდის მე თვით მოვიდოდე კარვად ალა-მაჰმად-ხანისა. მაშინ აღსდგა სადუხ ხან და შეიმოსა სამოსლისა მით, რომელითაცა აქვნდა ჩვეულობა მარადის მოსვლისა ალა-მაჰმად-ხანისა თანა. და წარვიდა კარვად მისსა რაოდენითამე მისანდოთა კაცებითა თვისითა და შევიდა თვით კარავსა შინა მისსა და იხილა მოკლული იგი ესრეთ მდებარე და შესწუხდა ფრიად. და იტირა მას ზედა მდუმარით მრავალი. და შემდგომად მოუწოდა, რეცა ბრძანებითა ალა-მაჰმად-ხანისათა, მხედრობათა თვისთა რჩეულთა და მისანდოთა მისთა და უბრძანა მათ, რათა აღმხედრდენ იგინი მსწრაფლ, რომელ ჯერეთ არა გამოეცხადების ესე საქმე მხედრობასა, ვიდრე განსვლამდე და განშორებამდე ციხისა მისგან. მაშინ რომელიმე ნივთნი მსუბუქნი და ძვირფასნი, გარნა არა ყოველივე, აღიღო, თანავე სამკლავეთა თანა ალა-მაჰმად-ხანისათა სადუხ-ხანმან და წარიღო, და ხუთისა ათასითა მხედრობითა განვიდა დღესა მეორესა სიკვდილისა მისისა, განეშორა ციხესა შუშისასა და მიჰმართა სასანოჲსა თვისისა შაღალისა კერძოსა; ხოლო მკვლელნი იგი ალა-მაჰმად-ხანისანი არა წარიყვანა თანა, არამედ დაშთნეს იგინი ციხესა შინა შუშისასა. მაშინ სცნეს-რა მხედრობათა ალა-მაჰმად-ხანისათა საქმეჲ ესე და სიკვდილი ალა-მაჰმად-ხანისა, შეედვათ მათ ფრიადი აღრეულებაჲ და განიყვნეს იგინი სხვად და სხვად ნაწილად და ძარცვიდეს მოყვასი მოყვასსა თვისსა და ხოცდეს ურთიერთარს.

მაშინ შევიდეს კარავთა შინა ალა-მაჰმად-ხანისათა და განძარცვეს იგინი. ხოლო მცხოვრებთა შუშის ციხისათა იხილეს რაჲ ესე, შეკრბეს იგინი ერთად და ავნებდეს ფრიად სპარსთა მხედრობასა და წარავლინნეს კაცნი მაუწყებელნი და მოიძიენეს სახლობელნი სოფელთა და მთათა შინა და ნაპრალთა კლდისათა დამალულნი კაცნი ყარაბაღისანი და მოვიდეს მრავალნი სწრაფით და შეერივნეს იგინი შუშელთა და სტყვევნიდეს ყოველსა რაჲცა აქვნდათ სპარსთა და ძარცვიდეს მათ და რომელთამე მათგანთა ჰკულიდეს. და მოჰკვეთეს თავი გვამსა მომკვდრისა ალა-მაჰმად ხანისასა ყარაბაღელთა და წარუღეს შორის ლეკთა შეხიზნულსა იბრეიმხანს ბელაქნად. ვითარცა სცნა ესე იბრეიმხანმან, განიხარა ფრიად საქმესა ამას ზედა და ეკიცხვოდა თავსა მომკვდრისა ალა-მაჰმად-ხანისასა. ხოლო ჰსცნეს-რა ესე ლეკთა ჰარელთა სიკვდილი ალა-მაჰმად-ხანისა და მოღება თავისა მისისა კაცთაგან სახანოჲსა იბრეიმხანისათა, მის წინაშე შეკრბეს ერთბაშად ლეკნი და მივიდეს იბრეიმხანისა მიმართ და ჰრქვეს მას: „რისთვის ჰყოფ ამას და განკიცხავ თავსა ესრეთისა ვისსამე, რომელიც მფლობელი იყო მრავალთა ერთა და წინაუძღოდა სრულიად მხედრობასა სპარსეთისასა. თუმცა-და იყო მტერი შენი და კერძოითაცა ამათ ენება დამდაბლებაჲ და შემუსრვა, მაგრამ ესრეთცა არა ჯერ არს შენ მიერ ეს—სახედ უპატიოყოფა მისი, რომელსაცა სრულიად აღიარებდეს კელმწიფედ თვისად.“ მიუღეს მას თავი იგი რიხხეითა დიდითა და წარმოიღეს, რაოდენ ძალ-ედვათ მათ პატივისცემითა დიდითა. და მოიღეს ჰარსა შინა და დაფლეს იგი მუნ და ფრიადისა გულს მოდგინებითა მეცადინე იყვნეს, რათამცა, რაოდენ ძალ-ედებოდეს მათ მიერ მიაპყრან მას შესაბამი პატივი და აღუშენეს მათ თავსა მას ზედა ნიშანი ქვითკირითა.

სპარსნი დიდსა აღრეულებასა შეცვივნულნი წარვიდეს ლტოლვის სახედ თვის-თვისად და არცა ერთი ვინ მათგანი დაშთა ციხესა შინა შუშისასა და გზასა ზედა სხვათა და სხვათა მცხოვრებთა და ავაზაკთა მრავალნი მათგანნი დახოცნეს და მიუღეს ნაქონებნი მათნი. ხოლო რომელთამე მახლობელთა ალა-მაჰმადხანისათა აღიღეს გვამი იგი თავ-მოკვეთილი კელმწიფისა მათისა და წარიღეს სპარსეთად და მიიღეს თერანს და მუნით წარიღეს ბაღდადს (ბაბილოვნისასა) დიდისა პატივითა. ვინაიდგან მაშინ მყოფობდა თერანს დედა ბაბახანისა *), ძმის წული ალა-მაჰმადხანისა, რომელსაცა ალა-მაჰმადხან ხადოდა მეუღლედ თვისად და დედოფლად სპარსეთისა. ხოლო ძეჲ მისი ბაბახან ჰყვა ალა-მაჰმადხანს მემკვიდრედ თვისად. ამან უკვე დედამან ბაბახანისამან ასია-ბეგუმ, თვით წარიღო გვამი მისი ბაღდადს, სალოცველსა სპარსთასა შაინაჯ-აბად სახელდებულსა, სადაცა აქვსთ მათ საფლავი ალიასი, სიძისა მაჰმედისა. და მუნ მარხიან კელმწიფენი და დიდებულნი სპარსეთისანი. და დაფლეს მუნ იგი.

მას ჟამსა ოდეს განეშორნეს სპარსნი შუშის ციხესა, მოვიდეს ძენი იბრეიმისანი—მაჰმად-ასან-აღა, პირველი შვილი მისი და ძმა მისი მეითი-აღა, დაუყოვნებლად და შეკრბეს ყოველი იგი ნივთი, რაიცა მიეღოთ სპარსთაგან ყარაბაღელთა და იქმნეს ამით იგინი მდიდარ.

ხოლო ამბავი სიკვდილისა ალა-მაჰმად-ხანისა მოართვა მეფესა ირაკლის ტფილისს მყოფსა ფრიდონ-ბეგ, მელიქმან ყარაბაღისა სომეხთამან, რო-

---

*) ბაბა ხან არს ფათალი შაჰ, აწინდელი კელმწიფე სპარსეთისა, ძე ჰუსეინ-ყულიხანისა, ალა-მაჰმადხანის უმცროსის ძმისა.

სახებ; სცდილობდა გავლენა ჰქონოდა და აეხსნა და განემარტა ამ ახლად შემოსალებ ცვლილებათა სიკეთე და სიკარგე. ხელმწიფის მიერ წარმონათქვამი სიტყვები იბეჭდებოდა და მთელს რუსეთში მოფენილი იყო. სხვათა შორის, ალექსანდრე მე-II მაგალითებრ, ვოლოგდის თავად-აზნაურობას შემდეგის სიტყვებით მიჰმართა:

> სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ამ ჟამადაც ამ საზოგადო საქმეში, ღონისა და შეძლებისამებრ თვისისა, ეცდებით მომეხმაროთ და ხელი მოუმართოთ ჩემ მიერ განზრახულს საქმეს. ბატონებო, ვიმედოვნებ, რომ სრულიად თანაუგრძნობთ ჩემს სურვილს და ეცდებით განაკარგოთ თქვენთა ყმათა ყოფა-ცხოვრება და ამით საერთო სარგებლობას წინ არ გადაელობნეთ.

მისმა უდიდებულესობამ ქალაქ ტვერის თავად-აზნაურობას უთხრა:

> დარწმუნებული ვარ, იმედს არ გამიმტყუნებთ... ხომ იცით, როგორა ვარ გულით მოწადინებული თქვენს სიკეთესა და კეთილ-მდგომარეობას; იმედი მაქვს, რომ თქვენთა ყმათა ბედნიერება თქვენთვის სასიამოვნოა, და ამიტომ ეცდებით ისე მოაგვაროთ და მოახერხოთ, რომ არც თქვენი საქმე წაიხდინოთ და იმათაც შვება მისცეთ. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ დამეხმარებით და ამ მხრით შიში არა უნდა მქონდეს-რა... ერთს გზაზედ მივდივართ და ამ გზიდგან ერთ-ერთის ჩვენგანის აცდენაც შეუძლებელია, რადგან ორივეს სანატრელი—რუსეთის საერთო ბედნიერებაა. გტოვებთ იმ რწმენით, რომ გამიმართლებთ მოლოდინს, დამეხმარებით, მხარს მომცემთ და არა წინააღმდეგობას გამიწევთ.

დაახლოვებით ამ შინაარსის სიტყვებითვე მიჰმართა ხელმწიფემ კოსტრომისა, ნიჟნისა, მოსკოვისა, სმოლენსკისა და ვილნას თავად-აზნაურობას. მანვე აუწყა, რომ ყოველი საგუბერნიო კომიტეტიდგან ორ-ორი კაცი იქნება გახმობილი პეტერბურგში, რათა ამ კომიტეტების მიერ შედგენილი პროექტი აგვიხსნან და განგვიმარტონ. ამ გვარად

> ჯერ პროექტებსა სწერდნენ საგუბერნიო კომიტეტებში, მერე სარედაქციო კომისია ჰსინჯავდა, დეპუტატების ლაპარაკს ისმენდა და ერთს საერთო პროექტს ადგენდა. ამ პროექტს განიხილავდნენ ხოლმე ახლა გლეხთა განთავისუფლების მთავარ-კომიტეტში და წარუდგენდნენ სახელმწიფო საბჭოში, საიდგანაც ხელმწიფეს ეგზავნებოდა დასამტკიცებლად. საგლეხო დებულებას დამტკიცებამდე ოთხის დაწესებულების ხელში უნდა გაევლო.

ამ რიგით სარედაქციო კომისიამ წელიწად-ნახევარი იმუშავა: 1859 წ. 4 მარტიდგან 1860 წლის 10 ოქტომბრამდე. ამ ხნის განმავლობაში გადასინჯა და განიხილა უშველებელი მასალა და ისე შეადგინა დებულების პროექტი. 10 ოქტომბერს ეს კომიტეტი გაუქმდა და მისი ნაშრომ-ნაღვაწევი მთავარ კომიტეტს გადაეცა. ამ კომიტეტმა წარმოდგენილ პროექტების განხილვას 45 სხდომა მოანდომა. უკანასკნელი სხდომა მთავარ-კომიტეტს 1861 წ. 14 იანვარსა ჰქონდა და შემდეგ ეს საქმე განსახილველადვე გარდაეცა სახელმწიფო საბჭოს, რომელიც მის გარჩევა-გამორკვევას 1861 წ. 28 იანვარს შეუდგა. სახელმწიფო საბჭოს კრების დასაწყისს ხელმწიფე იმპერატორმა სიტყვა წარმოსთქვა და აი სხვათა შორის რა სთქვა:

> იმედი მაქვს, ბატონებო, სახელმწიფო საბჭოში წარმოდგენილ პროექტების განხილვის დროს დარწმუნდებით, რომ ყოველივე ღონე ვიხმარეთ მემამულეების სარგებლობა დაგვეცა და დაგვეფარა; თუ საჭიროდ დაინახავთ და მიუმატებთ რასმე, ან შესცვლით, დიდის ხალისით აგწონ-დავწონავ ყოველსავე თქვენს შენიშვნას, მხოლოდ გთხოვთ-კი არ დაივიწყოთ, მთელ ამ საქმის საფუძველი ის არის, რომ გლეხებს ყოფა-ცხოვრება გაუუმჯობესდეთ, გაუმჯობესდეთ მარტო სიტყვითა და წერით-კი არა—საქმითაცაო.

სახელმწიფო საბჭოს 14 სხდომა ჰქონდა და თოთხმეტივე დიდად ცხარე და განცხოველებული. ყოველ სხდომის ჟურნალი ხელმწიფე იმპერატორს [illegible] განსახილველად და მისი უდიდებულესობა უმეტესად უფრო უმცირესობის აზრს ამტკიცებდა, რადგან იცოდა, რომ უმრავლესობას არაფრად ეჭაშნიკებოდა ბატონყმობის განთავისუფლება. უკანასკნელი კრება სახელმწიფო საბჭოს 17 თებერვალსა ჰქონდა, ხოლო 19 თებერვალს 1861 წლისას უკვე უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა დებულება და გლეხთა განთავისუფლების მანიფესტზედ ხელი მოაწერეს. ეს მანიფესტი გამოცხადებულ იქმნა საჯაროდ 1861 წლის 5 მარტს.

◆◆

უცხოეთი

გერმანია. ლუდვიგ ვინდჰორსტს უწოდებდნენ „მცირე აღმატებულობას." მის მოწინააღმდეგე ბისმარკს-კი „დიდ აღმატებულებას", თუმცა ამ მცირემ აჯობა დიდს, ისე როგორც დავითმა გოლიათს. ვინდჰორსტს ერქვა სახელად აგრეთვე „შავი მარგალიტი." დაიბადა ჰანნოვერში. სწავლა გაათავა უნივერსიტეტში და ბევრ-გვარი დიდი ალაგი ეჭირა. ჰანნოვერის სამეფოში ორჯელ იყო იუსტიციის მინისტრად. გულით და რწმენით ღვთის მოსავი კაცი იყო და ერთგული კათოლიკე, რომლისთვისაც ეკკლესიისა და პაპების ინტერესი სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა იდგა. ამიტომ ებრძოდა ხშირად ვინდჰორსტი ბისმარკს, როცა ამ ძლიერმა კანცლერმა მოინდომა დასუსტება გერმანიაში კათოლიკეთა დასისა. ბოლოს დროს პარლამენტში ვინდჰორსტი თხოულობდა, რომ იეზუიტების ორდენს ნება მიეცეს კვლავ დაბრუნდეს გერმანიაში და წინანდებურად თავისუფლად იმოქმედოსო.

ვინდჰორსტი პოლიტიკაში, მართალია, დიდი მომხრე იყო მონარხიისა, მაგრამ თავისებურად ესმოდა სიტყვა მონარხია. რაკი დაბადებით ჰანნოვერელი იყო და შემდეგ ჰანნოვერის სამეფოში მინისტრობაც მიიღო, ამიტომ ვინდჰორსტი არა სწყალობდა პრუსიას, რომელმაც გადაჰყლაპა ჰანნოვერი. ვინდჰორსტი არ ჰქადაგებდა, რომ დაირღვეს ეხლანდელი გერმანია, გაერთიანებული სახელმწიფო გერმანიისაო, მაგრამ იმ აზრს-კი მტკიცედ ადგა—ყველა წინანდელ პატარა სახელმწიფოს გერმანიისას ისევ უნდა დაუბრუნდეს დამოუკიდებლობა და ამ დამოუკიდებელ სახელმწიფოთაგან შესდგეს ფედერაციაო. ამ აზრს დიდის მჭევრ-მეტყველობით, დიდის მხნეობით და უნარით იცავდა პარლამენტში ვინდჰორსტი და მით საქმეს უჭირებდა „რკინის კანცლერს" თ. ბისმარკს, რომელმაც ვინდჰორსტი სახელმწიფოს მტრად და მოღალატედ დაჰსახა. ის-კი არა თუ ბისმარკის გადადგომის შემდეგ, ვინდჰორსტმა დიდი პატივის ცემა მოიპოვა მთავრობისაცა და თვით იმპერატორის სახლეულობისაცა. დედოფალმა ავადმყოფს ვინდჰორსტს სამეფო ბაღიდამ მშვენიერი თაიგული და ყვავილების კონა გაუგზავნა. ეხლანდელმა კანცლერმა კაპრივიმ ბევრ ნაირად დაუმტკიცა თვისი პატივის-ცემა და თვით იმპერატორმა ვილჰელმმა რამდენჯერმე დიდხანს იმუსაიფა გაძლიერებულ შუაგულ დასის მეთაურთან.

სიკვდილის წინად, ესე ორის საათით ადრე, ვინდჰორსტს წარმოუდგენია თავი პარლამენტში და დიდხანს ულაპარაკნია. ლაპარაკში სთხოვდა თურმე პარლამენტს უარ-ჰყავით კანონი, რომლითაც განდევნილ იქმნა ორდენი იეზუიტებისაო. როცა რომის პაპს პირველად გაუგონია ამბავი ვინდჰორსტის გარდაცვალებისა, სასოწარკვეთილებით წარმოუთქვამს: „ეკკლესიამ დაჰკარგა ერთი თავისი დიდად გულადი და გენიოსი მებრძოლიო"! გაზ. „Moniteur de Rome" ამბობს, რომ ვინდჰორსტმა შეადგინა სამაგალითო საპოლიტიკო დასი და გარდაიცვალა სწორედ მაშინ, როცა დიდი გამარჯვება მოელოდაო. დიდი დასაკლისია მისი სიკვდილი, მაგრამ მისგან ქმნილი საქმე ჯერ კიდევ დიდხანს იდღეგრძელებსო.

იტალია. პარლამენტში კრისპისა და იმბრიანის შემდეგი უსიამოვნობა ჩამოვარდნიათ: იმბრიანის უთქვამს, რომ კრისპი და მისი მომხრენი ყმანი იყვნენ ავსტრიისაო. კრისპიმ უპასუხნია: ყმანი-კი არა, მეგობარნი ვიყავითო. იმბრიანის მაინც გაუმეორებია თავისი სიტყვა. კრისპას ველარ მოუთმენია და მკვახე ლაპარაკი დაუწყია. იმბრიანის უთხოვნია ფერრარისათვის უკან წაიღოს კრისპის თავისი სიტყვებიო. კრისპის უპასუხნია: „არას გზით. როცა მთავარ-მინისტრი ვიყავ, მაშინ კიდევ საბუთი მქონდა მომეთმინა ხოლმე იმბრიანის უზრდელობა და ეხლა, როცა უბრალო დეპუტატი ვარ, არავითარი მიზეზი არა მაქვს მოვუთმინო რამ მაგას. ჩემსკენ არის 32 წელიწადი საპარლამენტო მოღვაწეობისა; ჯიბეში კიდევ რევოლვერი მიძევს. თუ იმბრიანი კვლავაც თავს მომაბეზრებს, ვურჩევ გაფრთხილდეს".

ბოლგარია. იმ ხმების გამო, რომ ვითომ პრინც ფერდინანდ კობურგელსა და ბოლგარიის მთავრობის წარმომადგენელთ შორის უსიამოვნობა ჩამოვარდნილი და რომ ვითომ ბოლგარიის მმართველნი დარწმუნდნენ, ახლა-კი დრო დადგა მოვურიგდეთ რუსეთსაო, სოფიის ოფიციალური გაზეთი „Свобода" ამბობს: „მთავარსა და მის სამინისტროს შუა არავითარი უსიამოვნება არ არსებობს. რუსეთთან შერიგებაც შეუძლებელი საქმეა, თუმცა ეს შერიგება რუსეთს ძალიანა ჰსურს. ყველამ იცის,—ამბობს დასასრულ გაზეთი „Свобода",—რომ ბოლგარია მოწადინებულია ყველა დიდ და პატარა სახელმწიფოსთან მეგობრობას და სიამ-ტკბილობას. მოწადინებულია ამავე რუსეთის შესახებაც, მაგრამ ბოლგარია არას დროს არ შეიწყნარებს იმ პირობას, ურომლისოდაც რუსეთი შერიგებას არ მოინდომებს. ბოლგარია უფრო იმას ირჩევს, სრულიად განადგურდეს და აღიგავოს დედა-მიწის ზურგიდამ, ვიდრე

მელიცა მალე-სრბოლით და გზასა ზედა ცხენთა ცვლითა, მოიწია დღესა მეოთხესა შუშის ციხით ტფილისს. არა ითქმის ესე, რომელ დიდად რამე სათნოდცა აღუძნდათ საქმე ესე მეფესა ანუ ერსა საქართველოსასა, ვინაიდგან დიდისა და საკვირველისა გულს-მოდგინებითა და მრავლისა განმზადებითა სამხედროთა საჭურველითა ჰსურდათ ბრძოლისა ყოფაჲ ალა-მაჰმადხანისა მიმართ. შემდგომად ამისა იქმნა მშვიდობა სრულად საქართველოსა შინა...

მეფე და მემკვიდრე გიორგი აშენებდეს ყოვლისა მოსწრაფებითა ტფილისსა და შემოკრბნეს მრავალნი ერნი, რომელ შემდგომად ორისა წლისა ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლიდგან მას შინა შეუძლებელ-ღა იყო ცნობაჲ ქალაქისა ტფილისისა, რომელ დაჰკლებიეს მას რაჲმე მტერთაგან, ანუ არა. და წარაგეს მეფემან და მემკვიდრემან მისმან კნინღა და ყოველივე რაიცა დაუშთათ მათ საუნჯეთაგან თვისთა კვალად მოგებასა მას ზედა ქალაქისასა. მაშინ წარვიდა მეფე ირაკლი კახეთს თელავადვე...

მკვლელნი უკვე ალა-მაჰმად-ხანისანი დაშთეს ციხესა შინა შუშისასა. და ოდეს მოიქცა იბრეიმხან შუშად, მიიღო მან იგინი ფრიადისა პატივის-ცემითა და აღუთქვა მათ საფარველსა ქვეშე მისსა დაცვაჲ უშიშრად და ყოვლითა კმაყოფილებითა ცხოვრებაჲ მათ თვისთანა და აჰიქნა მათ ნიჭნი.

ზემორე ხსენებული ძმის წული ალა-მაჰმად ხანისა, ბაბახან, სარდარი და მემკვიდრე ალა-მაჰმად-ხანისა, იმყოფებოდა იგი მაშინ შირაზად. ჰცნა-რა მან სიკვდილი ალა-მაჰმად ხანისა, ბიძისა თვისისა, წარმოვიდა მსწრაფლად თერანად, სატახტო ქალაქად. ვინაიდგან ყოველნი იგი ხაზინანი ალა-მაჰმად-ხანისანი იყვნეს მუნ. და ვინადგან იყო იგი მემკვიდრე ალა მაჰმად-ხანის ტახტისა, ამისთვის ყოველივე ხაზინანი მისნი და დიდებულნი ალა-მაჰმად-ხანისანი მიითვალნა მან ყოველნივე და იწოდა შაჰად, თერანს შინა, და ყოველი კერძო მოუწოდა ლაშქართა და შემოიკრიბნა მხედრობანი მუნ.

ზემორე ხსენებული სადუხხან, სარდარი წარჩინებული ალა-მაჰმად ხანისა, წარსრული შუშის ციხით, მოვიდა ადრიბეჟანსა შინა და ყოველთაგან სახანოთა ადრიბეჟანისა და სხვათაცა ადგილთაგან შეკრიბნა მხედრობა დიდძალი და მრავალნი ქალაქნი ადრიბეჟანისანი დაიმორჩილნა და ენება მას მიღება სპარსეთის კელმწიფობისა, რათა შემდგომად ალა-მაჰმად-ხანისა იწოდამცა შაჰად სპარსეთისა. წარვიდა ესე ადრიბეჟანით და შევიდა მხედრობითა დიდითა არაყისა ქვეყანასა შინა. მაშინ მოეგებნეს მას არაყისა ქვეყნისა რომელნიმე მცხოვრებნი და განვლო ზანგანისა სახანო და მივიდა დიდსა და ერ-მრავალსა ქალაქსა ყაზბინს, ყაზბინის სამთავროსა შინა. ხოლო ყაზბინელნი განუმაგრდეს მას და არა უტევეს იგი შესვლად თვისსა შინა ქალაქსა და მოადგა ქალაქსა მას და გარე-მოიცვა იგი.

მაშინ მსმენელი ამისი ბაბახან წარმოემართა თერანით მხედრობითა დიდითა. არა დია შორავს ქალაქი ყაზბინი თერანსა, არამედ საშუალ ყაზბინისა და თერანისა ოც-და-ორი აღაჯი, ე. ი. ოც-და-ორი ეჯი, რომელისცა თვითეული ეჯი შეიცავს შვიდსა ვერსსა. მოსრული ბაბახან ყაზბინს, შთამხდა გარე ქალაქისა ერთ-კერძო და განაწყვნა მხედრობანი თვისნი. ეგრეთვე მეორესა მხარესა განაწყვნა მხედრობანი თვისნი სადუხანმან და ეკვეთნეს ურთიერთარს და ჰყვეს ბრძოლა ძლიერი დილით ვიდრე მიმწუხრადმდე და იძლია სადუხ-ხან და ივლტოდეს მხედრობანი მისნი და თვითცა. და მრავალნი მათგანნი მოსწყვიტნეს მხედრობამან ბაბახანისამან და ურიცხვნი მათგანი შეიპყრეს. და ესრეთ ძლევა-მოსილი ბაბახან შევიდა ქალაქსა შინა ყაზბინისასა და მოეგებნეს დიდებულნი და ჩინებულნი მას შინა მცხოვრებნი და დიდისა დიდებითა შეიყვანნეს იგი ქალაქსა მათსა და აღიარნეს კელმწიფედ თვისად. ხოლო სადუხ-ხან ლტოლვილი ვერცა-ღა თუ იკადრებდა დადგრომად სახანოსა შინა თვისსა, არამედ ივლტოდა მუნითცა შარვანად. ხოლო ბაბახან მიიღო, და დაიმორჩილა სრულიად სახანონი იგი, რომელნიცა შეუდგეს სადუხ-ხანს და სახანოცა იგი სადუხ ხანისა დაიპყრა თვით, და დაიმორჩილა ადრაბეჟანი სრულად და განავრცო კელმწიფობა თვისი.

მაშინ მოუვლინა იბრეიმხანს ყარაბაღელსა მოციქულნი და სთხოვა მკვლელნი ალა-მაჰმადისანი და რაჲცა დაშთა და იავარ-იქმნა ციხესა შინა სპარსთა მხედრობისა, განა თუ წიგთანი ალა-მაჰმადისანი, — მოითხოვნა იგინი ყოველნივე.

მაშინ იბრეიმხან მიჩნეულ იქმნა სპარსთაგან, ევედრა ბაბახანს და წარუვლინა ასული თვისი, რომელიცა იყო ნაშობი ჯავათხან განჯელის დისაგან, დედით დაჲ მეითი-ალა იბრეიმხანის შვილისა და მისცა იგი მას ცოლად. ეგრეთვე წარუვლინა ძეცა თვისი ფათალი ალა. ნაშობი მკვლისა მიერ და მკვლელნიცა ალა მაჰმად ხანისანი შეიპყრნა და წარუვლინა მათ თანავე.

ხოლო ბაბახანმან შეირთო ასული იბრეიმხანისა და აღრიცხა იგი ცოლთა თვისთა რიცხვსა შინა. და მკვლელნი იგი ალა-მაჰმად-ხანისანი დასაჯნა მრავლითა და სხვითა და სხვითა სატანჯველებითა და ესრეთ მოსცნა იგინი სიკვდილსა. ხოლო შვილი იბრეიმხანისა მიიღო პატივით...

მშვიდობისა ყოფაჲ ესე იბრეიმხანისაგან სპარსთა თანა არა იყო არცა ერთი დაფარულ მეფისა ირაკლისა. არამედ ყველა საქმესა თვისსა ჰკითხვიდა იბრეიმ-ხან მეფესა. პირველად განიზრახვიდა იგი, რათა ითხოვის მხედრობა მეფისაგან და დაადგინეს იგი შუშასა და ყარაბაღსა შინა დასაცველად ადგილთა მათ. გარნა ვერა ძალ-იდვა ესე. ამისთვის რომელი სრულიად არა იყო მოსავალი წელსა ამას სამსა ზედა-ზედა ლაშქრობისასა. და მცხოვრებნიცა ყარაბაღისანი უმრავლესნი განსრულ იყვნეს მეზობელთა შორის თვისთა და არცა-ღა იყო სრულად ყარაბაღსა შინა კარნი, გინა ცხენნი. რითამცა შემძლებელ იყვნესმცა, რათამცა ჰცხოვრებთა მუნებურთა აქვნდესთ საზრდონი. ამისთვის იძულებულმან იბრეიმხან, შეკითხვისამებრ მეფისათა, ჰყო მშვიდობა სპარსთა თანა, თუმცა-ღა გული მისი არა-ოდეს განეშორა ერთგულებისაგან საქართველოისა მეფეთასა.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქედი მოიდრიკოს რუსეთის სურვილის წინაშეო.

საბერძნეთი. ათინიდამ იწერებიან დეპეშით, რომ მალე პალატას წარუდგენენ თხოვნას, სამართალში იქმნას მიცემული ტრიკუპისიო.

◆◆

წვრილი ამბები

ბაყაყი და ჩინელი. ჩვენში, რასაკვირველია, ბევრმა არ იცის, თუ რა სარგებლობას აძლევს მებაღეთა და მებოსტნეთ ბაყაყი. ეს ყველასაგან ათვალწუნებული და დაბრიყვებული ცხოველნი აუარებელ მწერსა ჟლეტენ და ანადგურებენ, ისეთს მწერს, რომელიც მეტის-მეტად მავნებელი არის ბაღისა და ბოსტანისათვის. ჩინეთში ამ ქვეწარმავალთა ასეთი სამსახური და სარგებლობს კარგი ხანია დაუფასებიათ და იქ კანონი არსებობს, რომელიც უვიც მცხოვრებთა დევნისაგან ბაყაყთა მფარველობს. ხან-და-ხან რომ ეს კანონი არავის დაავიწყდეს, ბრძანებას გამოსცემენ, სასტიკად დაისჯებით თუ ბაყაყს რამე ავნეთო. ერთი ამ გვარ ბრძანებათაგანი „Вѣстн. Садов.“-შია დაბეჭდილი და აი აქვე მოგვყავს. „თქვენს მინდვრებში თქვენც იცით, რომ ბაყაყი ბევრია. ბაყაყი თუმცა პატარა ცხოველია, მაგრამ აგებულებით ადამიანს მიაგავს, მას გატაცებით უყვარს ის ადგილი, სადაც დაბადებულა და სიკვდილამდის არ შორდება. ამასთან ყოველ ღამე ატკბობს თქვენს სმენას მელოდიურის კონცერტით (ეს-კი გადაჭარბებაა, ჩვენის აზრით) ყველა ამას გარდა ბაყაყი თქვენს ნახნავნათესს იცავს და იფარავს სხვა-და სხვა მავნებელ მწერთაგან. მაშ რას ერჩით ამ უდანაშაულო სულდგმულთ, როცა ღამით აანთებთ ფარნებს და გამოდიხართ იმათ დასაჭერად. ვინ იტყვის, რომ იმისი ხორცი, ზრინჯით გაკეთებული გემრიელი არ არისო, მაგრამ იმათი ხოცვა მაინც სისასტიკე და უსამართლობაა. ამიერითგან აღკრძალულია ყიდვა და გაყიდვა ბაყაყისა და, ვინც ამის წინააღმდეგს ჩაიდენს, სასტიკად დაისჯება“.

ბაყაყებზე მეტი სარგებლობა კიდევ ბაღ-ბოსტნებისათვის მუკარს მოაქვს. ჩვენში ეს არ იციან. მუკარი საზიზღარ ცხოველად მიაჩნიათ და, სადაც მიასწრობენ, ცოცხალს არ გაუშვებენ. ხოლო თუ რამდენად სასარგებლოა ეს ჩვენგან დევნილი ცხოველი იქიდან სჩანს, რომ ინგლისში, სადაც მუკარი იშვიათია, მებაღეები და მებოსტნეები თითოეულს ექვსი შაურიდამ ორ აბაზამდე ყიდულობენ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ინგლისში მუკარი ავსტრიიდამ მიჰყავთ გასასყიდად.

უცნაური ვაშლის ხე. ყველამ იცის, რომ ხეხილი ჯერ აყვავილდება და შემდეგ ნაყოფს მოისხამს. რასაკვირველია, იშვიათს მოვლენას უნდა შეადგენდეს ბუნებაში, როცა ხეხილი არ ჰყვავის და ნაყოფს-კი მაინც მოისხამს. ასეთი ვაშლის ხე აღმოჩენილა ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულს შტატებში (ვირგინიაში). ეს ვაშლის ხე მიუხედავად ამისა, რომ, როგორც ზემოდა ვსთქვით, არ ჰყვავის, ბევრისგან ბევრს ნაყოფს ისხავს. კოკორში ყვავილის მაგივრად პირდაპირ ნაყოფი ჩნდება, რომელიც დიდის სისწრაფით იზრდება. საკვირველი ისაა კიდევ, რომ ამ ვაშლის ხის ნაყოფს თესლი სრულიად არა აქვს.

◆◆

დეპეშა

12 მარტი

ლონდონი. გუშინ დედოფალი გაემგზავრა გრასს, სამხრეთ საფრანგეთს.

როგორც სოფიიდამ იწერებიან, სერბიის ახალმა მთავრობამ შესწყვიტა მოლაპარაკება ბოლგარიის მთავრობასთან სერბია-ბოლგარიის საზღვრების შემწყობის შესახებ.

პრაგა. მლადოჩეხებ შუა შუღლი ჩამოვარდა; დასი გაიყო ორად: ერთი ნაწილი ზომიერების დამცველია და ამათ მეთაურად ჰეროლდია, ხოლო მეორე ნაწილს მეთაურობს ედუარდ გრეგერი და ვაშატი.

ბერლინი. ელზას-ლოთრენში საპასპორტო წესები კვლავ შემოუბუქებულ იქმნა.

ბაზა. მთავრობა დიდად ცდილობს უთუოდ შეაწყნარებინოს პალატას ის კანონი, რომელთაც უნდა შემოღებულ იქმნას სამხედრო ბეგარა.

პეტერბურგის ბირჟა, 8 მარტი.

	მყიდველი ჰყვა.		გამყიდველი ჰყვანდა.		გაიყიდა.	
	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო .	6	77	6	79	—	„
ტამოჟნის კუპონები . .	135½		136		—	„
მანეთიანი ვერცხლის ფული.	1	06	1	07	—	„
5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი			—	„	237	
—მეორისა	—	„	—	„	222½	
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი	—	„	—	„	216¼	
გირავნობის ფურცელნი ტ ილისის ბანკისა .	—	„	—	„	202½	
ქუთაისის ბანკისა . .	—	„	—	„	202½	
ტფილისის საურთიერთო ხდობის საზოგადოებისა. . . .	—	„	99	„	—	„

განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. შ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

პატარა კახი

ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

	მან.	კაპ.
ხალხური ზღაპრები შეკრებილი აღნიაშვილის მიერ .	„	30
ლექსები ნ. ბარათაშვილისა ახალი გამოცემა . . .	„	30
რამდენიმე ლექსი ცახელისა.	„	15
საქართველოს დიდი კალენდარი ვ. გუნიასი 1891 წ.	„	40
სახალხო ჯიბის კალენდარი მისივე	„	10
თხზულებანი გ. ერისთავისა მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით.	2	„
ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი	8	„
ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . .	3	„
გზა ცხოვრებისა შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან	1	„
ამძღვარი ზეცისა. . .	„	50
წმიდათა ცხოვრება . . .	1	20
იკავნი ფილოსოფოს ეზოპისა	„	40
სიბრძნე კაცობრივი . . .	1	„
ბრძე[illegible]	„	30
მოკლე სახელისსიტყვანი ფრანგული ენისა. ყდით . .	„	50
მოკლე ფრანგული გრამატიკა.	„	40
მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე ყდით. . . .	1	20
მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი დამატებით ძველი გეოგრაფიისა . .	„	50
მოკლე ქართული გრამმატიკა დამატებით გრამმატიკური და ლოღიკური ანალიზებისა	„	40
მოკლე რეტორიკა, ანუ მჭევრმეტყველება სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილ-კაცთა. ყდით. . . .	„	50
მოკლე ფილოსოფია, ანუ სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ბუნებით ღვთის მეტყველებას და ზნეობას. ყდით . .	„	50
წამება ლექსად თქმული ცხოვრება წმიდის ესტატისა. ყდით	„	60
ყვავილების კონა, ანუ რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილ კაცთა.	„	50
საქართველოს სამოთხე საბინინისა ოცდა შვიდი სურათით	10	„
Книга Калилаһ и Диманаһ или сборникъ Басенъ извѣстныхъ подъ именемъ басенъ Бидпая, переводъ съ арабскаго М. О. Аттая и М. В. Рябинина, цѣна. . .	3	„
Матеріалы для русской исторіи, С. Ал. Бѣлокурова	3	„
Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова	3	„
Поѣздка старца Арсенія Суханова въ Грузію 1637—1640 гг. . .	„	25

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

12 თთვით . .	10 მ.—კ.	6 თთვით . . .	6 მ.—კ.
11 „ . . .	9 „ 50 „	5 „	5 „ 25 „
10 „ . . .	8 „ 75 „	4 „	4 „ 70 „
9 „ . . .	8 „ — „	3 „	3 „ 50 „
8 „ . . .	7 „ 25 „	2 „	2 „ 50 „
7 „ . . .	6 „ 50 „	1 „	1 „ 75 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისა ივის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები.

1) ხალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ წიგნი I.	„	30
2) იგივე მშვენიერის ყდით	„	75
3) თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით „Facsimile“-ითა და ბიოგრაფიით	„	80
4) იგივე მშვენიერს ყდით	1	25
5) „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი.	„	15
6) „სურამის ციხე“ გამოც. მესამე გრ. ჩარკვიანისა . .	„	25
7) „მარაბდა“ პოემა ან. ფურცელაძისა	„	20
8) „წყალობა“ პოემა მისივე	„	20
„ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“ ანუ „მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“ გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა	„	40
10) ანდერძი ანტონის II, საქართველოს კათალიკოსისა, გამოცემული დ. ფურცელაძის მიერ	„	30
11) რამდენიმე ლექსი ცახელის.	„	15
12) „სამი ისტორიული ხრონიკა“ ექვ. თაყაიშვილისა . .	1	„
13) „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა. . . . . -	„	50
14) „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა	„	50
15) „ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა“ შარაბიძისა. .	„	60
16) „დემეტრეს სახლობა“ მოთხრ. ს. მგალობლიშვილისა.	„	15
17) „თამარ ბატონიშვილი“ ისტორ. რომანი რჩეულიშვილისა.	1	„
18) „Руско-грузинскій словарь“ вновъ составленый по новѣйшимъ русскимъ словарямъ დ. ჩუბინაშვილისა . . .	3	50
19) „არჩილიანი“ გამოც. მაჩიტაძისა-დიმელისა	„	75
20) „მიბაძვა ქრისტესი“ თხზ. თომა კემპელისა თარ. ლათინურიდგან ა. მღებრიშვილისა წიგნი III და IV ყდით	„	80
21) იგივე უყდო	„	60
22) „მიბაძვა ქრისტესი“ წიგნი I და II ყდით	„	70
23) „შვილის აღზრდა“ პედაგოგიური წერილები თ. ხუსკივაძისა	„	20
24) „ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა“ გ. იოსელიანისა . .	„	20
25) „ძველის დება“ მეფე გიორგი ბრწყინვალესი“ ნ. ურბნელისა	„	25
26) „იავნანამ რა ჰქმნა“ მოთხ. ი. გოგებაშვილისა . . .	„	10
27) „კიკოლას ნაამბობი“ ისტ. პოემა აკაკისა . . .	„	20
28) „ბორკილი“ დრამა თარ. ახნაზაროვისა	„	40
29) ქანნა—დარკ	„	5
30) ბერლინის გარემოცვა	„	5

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შემდეგის ადრესით უნდა მიმართონ:

Тифлисъ Въ Книж. Магазинъ „Грузинскаго Издательскаго Товарищества“

Лорисъ-Меликовская ул. д Зубалова.

Тифлисъ, Дов. цен. 12-го Марта 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, на Лорисъ-Мелик ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.